გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1893

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1893

დაიბეჭდა ხელმეორედ და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

კრილოვის არაკები

თარგმანი აკაკისა

ეს წიგნი მოწონებულია სამოსწავლო მთავრობისაგან სკოლების ბიბლიოთეკებისათვის და მიღებულია სახელსაწყობად ქართულის ენის შესასწავლად.

იმავე წიგნის მაღაზიაში იყიდება რუსულ-ქართული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა ფ. 3 მ. 60 კ. და სურათი დ. ჩუბინაშვილისა ფასი 20 კაპ. (6—4)

## ტფილისი, 13 ნოემბერს

—

წლევანდელს მოსავალს ბევრნი არ ემადლიერებიან. ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა მხრიდამ მოდის ამბავი: სოფელი ვერ გაახარა წლევანდელმა მოსავალმაო, მეურნე-მხვნელ-მთესველნი გულ-ნატკენნი და უკმაყოფილონი არიანო.

ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ შარშანდელმა წელიწადმა ბევრგან კინაღამ შიმშილობაც-კი ჩამოაგდო, და სასტიკმა ცივმა ზამთარმა ხეირი არ დააყარა საქონელს. სწორედ ამიტომ აწუხებს წლევანდელი ნაკლები მოსავალი ჩვენს სოფელს; აწუხებს, იმიტომ რომ მეურნეს ოჯახი, რაც უნდა შეძლებული იყოს, თავად-აზნაურისა იქნება, თუ გლეხ-კაცისა, ადვილად ვერ აიტანს ორს, ზედი-ზედ მოყოლებულს მოუსავლიანს წელიწადს.

ქერი და პური ბორჩალოსა და ტფილისის მაზრის ერთს ნაწილში კარგად მოვიდა; გორის მაზრის აღმოსავლეთ მხარეში პურისა და სიმინდის მოსავალი შუათანა იყო. ზემო-ქართლში და სიღნაღის მაზრაში მცირე მოსავალია; თელავის მაზრის ბევრს ადგილებში იმდენად ნაკლები მოსავალი მოვიდა, რომ თითქმის თესლიც-კი ძლივს აიღეს.

მკითხველს ეხსომება, რომ ამ ზაფხულს კახეთში მუშაობდა მთავარ-მართებლის მიერ დანიშნული კომისია თელავის თავად-აზნაურთა მარშლის თავმჯდომარეობით. კომისიას უნდა გამოეკვლია შარშანდელ მოუსავლიანობის გარემოება. ამ კომისიამ გაათავა თავისისი მუშაობა და ამ ერთის თთვის წინად მოახსენა ბ-ნს მთავარ-მართებელს, რომ თელავის მაზრაში გლეხ-კაცობას დააკლდება სარჩო და სათესლე 180,000 ფუთი პურიო.

მაგრამ კახეთში მოუსავლიანობას კიდევ გაუძლებს მკვიდრი, რადგანაც ვისაც იქ პური არ მოუვიდა, იმას ღვინო მაინც ექმნება, და პურის მოუსავლობით დაზარალებული ღვინის მოსავლით გაიმართავს ხელს, მით უფრო, რომ წელს ღვინის მოსავალს არა უშავს რა კახეთში. ბევრად უფრო ძნელი საქმე მოუსავლიანობაა მთიან ადგილებში, სადაც შარშანდელმა სასტიკმა ზამთარმა დიდძალი საქონელი გასწყვიტა სიმშილით. თიანეთისა, დუშეთისა, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში პირველი საქმეა პური და საქონელი. პურისა და საქონლის შემოსავალია იქ ერთად-ერთი წყარო მკვიდრთა ეკონომიურის კეთილ-დღეობისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ადგილებიდამ ძალიან ნაკლების მოსავლის ამბავი ისმის.

ამასთან, თუ მართალია ახალ სამეურნეო გაზეთის მიერ გამოცხადებული ამბავი, ვითომ ერევნის გუბერნიაშიაც დიდი მოუსავლიანობააო, მაშინ ადვილად შესაძლებელია, რომ ტფილისის გუბერნიაში პური გაგვიძვირდეს და მცირედი შიმშილობაც ჩამოვარდეს, უფრო უფულობისა, ვიდრე უპურობისა გამო.

გარნა ყოველ ამაზე უფრო სამწუხარო ამბავი ქუთაისის გუბერნიიდგან მოდის. სხვათა შორის, სემეურნეო გაზეთ პირველ ნომერში დაბეჭდილია, რომ შორაპნის მაზრაში სიმინდი, ეს ერთად-ერთი სარჩო, ზემო-იმერეთში სულ მთლად წახდა, და არავითარი მოსავალი არ მოვიდაო. თითქმის ასეთივე მოუსავლობა სწვევია ქუთაისის მაზრას. ძლიერ მცირე მოსავალი მოსულა აგრეთვე რაჭაში, ლეჩხუმში და ნამეტურ სვანეთში. მარტო გურიასა და სამეგრელოშია მოსავალი შუათანაო. ღვინის მოსავალსაც მთელს გუბერნიაში ძლიერ დაუკლიაო.

ამ მოკლე ცნობებიდგანა სჩანს, რომ, თუ ქართლ-კახეთს გაუჭირდება მომავალ ზამთრის გატარება, იმერეთს, რაჭას, ლეჩხუმსა და სვანეთს უფრო დიდი გაჭირება მოელის.

სამწუხარო ის არის, რომ ამ დიდად საზრუნველ გარემოების გამოსაკვლევ-გამოსაძიებლად არავითარი სასტატისტიკო მასალა არ გროვდება და ამის გამო სრულიად შეუძლებელია აღრიცხულ და გათვალისწინებულ იქმნას სიდრმე-სიგანე იმ გაჭირებისა, რომელიც მოელის ჩვენს ქვეყანას ამ ახლო ხანში.

ნიკ. კავკასიძე

## ახალი ამბავი

—

*** ჩვენის რკინის გზის უფროსი, ბ-ნი ფრიდე, სთხოვს სახელმწიფო გზათა გამგეობას, რომ კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის ზოგიერთ სადგურებზედ საჭიროა მოხელეთა რიცხვს მოვუმატოთ, რადგან ეხლანდელი მოხელენი უიმისოდაც ბევრად გართულნი არიან თავიანთ საქმეშიო. საჭიროა ტფილისისა, ბათუმისა, ბაქოსა და სხვ. სადგურებში ზოგან ისეთი მოხელენი დავაყენოთ, რომელთაც საკუთრივ საქონელთა საქმეები განაგონ, და ზოგან-კი ისეთები, რომელთაც ამ სადგურებზედ მხოლოდ ფულის აკრეფის საქმე ჰქონდეთ ხელშიო. ამ წესით ბ-ნ ფრიდეს ჰსურს საკომერციო ნაწილის ბევრად განკარგება ჩვენის მხრის რკინის გზაზედ.

*** როგორც შევიტყეთ, პოლიციას უკვე გამოუკვლევია, რომ ებრაელი ვაჭარი რაშკევიჩი ამ დღეებში დაჭერილის ცირიკაძის დუქანში მოუკლავთ, ნაჭერ-ნაჭერ ხურჯინში ჩაულაგებიათ და გაუტანიათ. ჯერ ცირიკაძე არ ამბობს, ვინ მოჰკლა რაშკევიჩი და ან სად წაიღეს იმის დაჭრილი გვამი. მაგრამ, როგორც ამბობენ, ხუციშვილი გამოტეხილა და უთქვამს, მე ვარ რაშკევიჩის მკვლელიო და ხურჯინითაც მე წავიღე მტკვარში გადასაგდებად დღისით 1 საათზედაო.

*** ჩვენ შემოგვჩივიან, რომ ტფილისის ზოგიერთს ეკკლესიაში, ეკკლესიის მდაბიო მოხელე მოსამსახურენი მლოცავისაგან დანთებულ სანთლებს ერთს წუთს არ აყენებენ, ჰგლეჯენ შანდლიდამ და აქრობენ. ერთს ეკკლესიაში, მაგალითად, ერთი მლოცავი მანდილოსანი იძულებული იყო სამჯერ ეყიდნა სანთელი და დაენთო ხატის წინ, მაგრამ სამჯერვე მნათემ მოჰგლიჯა სანთელი და გააქრო.

*** ტფილისში დაარსებულს სატეხნიკო სასწავლებელს ჩვენის რკინის გზისას უნდა გაუმართონ საერთო სადგომი ამ სკოლაში მოსიარულე მოსწავლეთათვის. რკინის გზის უფროსი ბ-ნი ფრიდე სთხოვს სახელმწიფო გზების სამმართველოს 17 ათას მანათს ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ისე, რომ ამ თავითვე აშენდეს საკუთარი სახლი საერთო სადგომის გასამართავად.

*** კასპი: ადვილად წარმოსადგენი იქნება, თუ რა ძალის ქარი ჰქროდა ჩვენსკენ, როცა ვაგონები მოიტაცა ჩვენის სადგურიდამ და წაიღო ქარმა. ეს მოხდა ამ თთვის 11-ს, იმ დროს, როცა კონდუქტორმა მოხსნა მატარებელს ორი დახურული ვაგონი, რომელიც სწრაფად მოსტაცა ქარმა და გააქანა შორს სადგურიდამ. მატარებელს მოხსნეს ლოკომოტივი და ვაგონები ისევ სადგურზედ მოიტანეს. არავინ-კი არ დაუშავებია და მატარებლების მიმოსვლაც არ შეწყვეტილა.

*** სამშაბათს, 16 ნოემბერს, $7^1/_2$ საათზედ დანიშნულია კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა. კრება მორიგ საქმეთა განხილვის გარდა მოისმენს მოხსენებას: (შედარებითი გამოკვლევა); ვ. კ. პანჩენკოსას: პირუტყვთა მკურნალობის ეხლანდელნი საფუძველნი; მ. პ. მიხაილოვისას:—გარტმანისეზური თასები ბაქტერიების გასამრავლებლად.

*** ძეგამი ამ თთვის 8-ს ღამის 11 საათი იყო, როცა სახალხო საქონლის მატარებელი მოვიდა ჩვენს სადგურზედ. ამ დროს მატარებელში მჯდომმა თათარმა, ისმაილმა იქავე მჯდომის მგზავრის ვასილ ბაბიჩევის ბარგის თან წაღება მოინდომა. პატრონმა, რასაკვირველია, წინააღმდეგობა გაუწია. ისმაილმა ხანჯალი იშიშვლა, გარედ გამოვარდა და გაიქცა. თან გამოედევნა სადგურის უფროსი, შეიპყრა თათარი და გადასცა პოლიციის ბოქაულს

*** ჯავახეთი. (ახალ-ქალაქის მაზრა): 31 ოქტომბერს ბლაღოჩინ ხახუტაშვილისა და ოთხის მღვდლის და მრავალ ხალხის თანადასწრებით იკურთხა ვარევნის ახლად აშენებული მართლ-მადიდებელთა საყდარი.

## ფელეტონი

—

### ხმა პროვინციიდამ.

ქართლი შემოდგომაზედ. — გორის არე-მარე.—ტალახი და წუმპეები.—სკოლის შეგირდები.—ბუდენი სნეულებათა,—წურბელიანცი და ჩვენებური გლეხები.—დიალოგები.

გათავდა ჩვენსკენაც რთველები და ჰაერიც აირია! დასავლეთიდამ დაგვბერა ძლიერმა, ცივმა ზენა-ქარმა და მთელი ცა კიდის-კიდემდე დაჰფარა საავდრო ღრუბლებითა. აგერ მეოთხე დღეა, რაც ბწყინვალე მზის ცხოველ-მყოფელი სხივები აღარ დაუნახავს ჩვენ მიწა-წყალსა, რომელზედაც განუწყვეტლივ ჩამოდის მაღლიდამ წვრილი, ჟიჟმატა წვიმა. კაცს ეგონება მთელი ამ ქვეყნის ბუნება ერთ დიდ ცხედრად გარდაქცეულა, შავებით შემოსილი ცა მას ჭირისუფლად მოსჯდომია გვერდზედ და გაბმულის კვნესა-გოდებით მდუღარე ცრემლს აფრქვევს ზემოდამაო. ამისთანა დროს თვით კეთილგანწყობილი ქალაქიც-კი ჰკარგავს თავის ჩვეულებრივ ელფერსა და მწარეთ დაღონებულ, ყურებ ჩამოყრილ მოხუცს დაემსგავსება ხოლმე. მაშ ჩვენი სახელ-განთქმული „ჭიარქარიანი“, ჩვენი კურთხეული გორი რაღა ნაირ ყოფაში უნდა იყვეს ამ ჟამად?!. ხომ გინახავთ, ჩემო ბატონო, წუნწუხში ამოვლებული ქათამი, რომელიც მზის გულზე აბუზულა და საცოდავათ ცახცახებს! სწორეთ ესეთ სასაცილო ქათამს მოგაგონებს დღეს ჩვენი „ქართლის მეთაური“. ავდრისაგან ჩამორეცხილი სახლის კედლები ისეთი დამძარებულნი გადმოიცქირებიან, თითქოს ყოველ წამს ცისა და ქვეყნის დაქცევას მოელიანო. აქლემის ყელივით დახლაკნილი ვიწრო ქუჩები სავსეა მუხლამდის სარევი ტალახითა და ზოგგან ისეთი ლაფის მორევები ტრიალობენ, რომ მათ გვერდზე გავლა-გამოვლა დიდ გულადობათ უნდა ჩაითვალოს ადამიანისა. რაღა თქმა უნდა, რომ ყოველი აქაური სახლის პატრონი ცდილობს, რათა მათ ქუჩაში შეტბორებული წუნწუხი თავის სახლსა და ეზოში არ შეუშვას; ამიტომ ის ამ სახლისა დ ეზოს კედლების გარედამ ძირში ტალახსა დ თიხიან მიწას უყრის, ქუჩის აქეთ-იქით ნაპირებს ამაღლებს. ვაი იმ მოსიარულის ყოფას, რომელიც ამ ამაღლებულს ადგილებზედ გასვლას მოისურვებს!.. წვიმისაგან ისე ირიან იგინი დამბალ-დასიპულები, რომ მათზე ორ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს კაცი ისე, რომ მესამეზე მის წინ გაჭიმულ მორევში არ ამოჰყოს თავი... ამის გამო ზოგიერთნი, გამოცდილნი და აქაურ გარემოებათა მცოდნენი, ისევ დაკარწახებასა და შუა ლაფში, ბაყაყი-ყლაპიასავით, ტოპვას არჩევენ, ვიდრე მოხსენებულ ხაფანგში კისრის მოტეხასა. და ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ, რა სახეირო სანახავი იქნება ამისთანა ქუჩაში მომავალი რომელიმე დარბაისელი ქართველი, ანუ ლაზათიანად ჩაცმულ-დახურული მანდილოსანი...

**

ასე და ამ გვარ გარემოებათა შორის ტრიალებს ჩვენის აწინდელის ცხოვრების ხავს-მოკიდებული გუბე. როგორც კოჭებში ეტყობა დროთა ვითარებას, შემოდგომა,—სველი, ტალახიანი შემოდგომა—უკვე გვეწვია მთელის თავის ავყია და ჭუჭყიანის ამალითა. მაღლიდამ მარად ღრუბლებით დაბურული ცა, ფეხ-ქვეშ ტალახი და ლაფიი და ყოველის მხრიდამ სევდიანად მოზუზუნე ცივი, ნოტიო ქარი... ერთი სიტყვით, რომ იტყვიან: ძაღლი კარზე არ გაიგდებაო, სწორედ ასეთი ამბავია ამ ჟამად ჩვენსკენა. მაგრამ ვინ რას გააწყობს დაუდევარ, მუდამ მოუსვენარ ადამიანთან, რომელსაც დიდ ხანს სამარის მეტი სხვა ვერა შეაჩერებს რა ხოლმე ერთს ადგილასა?!. ზოგი ნებსით და ზოგიც უნებლიედ დღესაც ვერა სძლებენ კარზე გამოუსვლელობას: გამოდიან და ზიდავენ უაზათოთაც გათქვეფილ უსუფთაობას... ამ მოსიარულეთა შორის ყურადღებას იქცევენ უფრო ორ გვარი ადამიანები: ერთნი არიან მოსწავლენი, სკოლის პატარა შეგირდები, ხოლო მეორენი —სოფლებიდამ მომავალი გლეხ-კაცობა.

**

მ იმეტებული ნაწილი აქაურის სკოლის შეგირდებისა სოფლებიდამ ჩამოსული ყმაწვილები არიან. რაღა

საყდარი აუშენებიათ ძველს საძირკველზედ. ძველის საყდრის მყოფობას ახალს ადგილზედ ცხადად ამტკიცებს ძველი ჩუქურთმიანი ჯვრები და ისე ქვებიც, რომელიც მრავლად ურევია ახალის საყდრის კედლებში. ამ ძველ ქვებთა შორის შესანიშნავია ერთი—სიგრძით სწორედ ერთ-საჟნიანი და სიგანით ერთ-არშინ ნახევრიანი ქვა, რომელიც ძველის ტაძრის კარებ ზემოდ დებულა. ქვაზედ ხუცური ასომთავრული წარწერაც აღმოჩნდა, რომლის თავი ადვილად იკითხება, ხოლო ბოლო გაფუჭებულია. წარწერა ასე იწყება: სახელითა ღვთისათა დაიდვა ეს ჴრს (ვფიქრობ „ვარევნის“) (შემდეგი სიტყვა ამოსტვრეულია)... ხელითა ცოდვილისა..... ქორონიკონი იყო 240 (ე. ი. 1020 წ.)

ბლაღოჩინმა ვრცელი და შესაფერი სიტყვა უთხრა ხალხს. საყდრის კურთხევის შემდეგ დამსწრეთ დარდაგნელი გაუმასპინძლდა.

## საყურადღებო ამბავი

დიდი ლაპარაკი ასტყდა შარშანდელს სათავად-აზნაურო სააღგილმამულო ბანკის წევრთა საზოგადო კრებაზედ იმის გამო,—თუ რა გვარად არის მოწყობილ წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელი, რომელსაც ბანკისაგან შესაწევარი ეძლევა და რომლის ავ-კარგიანობის შეტყობაც მიზეზით უფრო სასურველი და სანატრელიაო. გამოჩნდნენ ისეთნი უნდობნიც-კი, რომელთაც საჯაროდ განაცხადეს, რომ შესაწევარის დანიშვნა, ამ სასწავლებლისათვის ეხლავე ადრეულია, რადგან ჯერ სასწავლებელი უნდა გაისინჯოს, დავრწმუნდეთ იმის ღირსებასა და სიკეთეს და მერე ისე გავუწოდოთ შემწეობის ხელი. მაშინ თვით სასწავლებლის დამაარსებელმა ბ-ნმა ილია წინამძღვრიშვილმა განაცხადა, რომ სიამოვნებით მივიღებთ და დავუხვდებით ყველას, ვინც-კი მაგ სიკეთეს გვიზამს და სასწავლებლის დასათვალიერებლად მობრძანდება. მობრძანდით, ჰნახეთ, თქვენის კეთილის თვალით ასწონ-გაზომეთ მისი ავ-კარგიანობა და თქვენივე სამართლიანი მსჯავრიც დასდეთ, მართლა ღირსია იგი შემწეობისა და დახმარებისა თუ არაო.

ამითი დაბოლავდა ეს ამბავი; მაგრამ ეს გარემოება-კი იმისი. ნიშანი იყო, თუ რა დიდს ყურადღებას აქცევს ქართველი საზოგადოება წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელს და რა საყურადღებოა ყველასათვის მისის ავისა და კარგის შეტყობა. ამის გამო, რასაკვირველია, სიამოვნებით აღსანიშნავია გაზეთის ფურცლებზედ ყველა მცოდნე კაცის აზრი ამ სასწავლებლის შესახებ. ჩვენ ამას წინად მოგვიხდა შემთხვევით სასწავლებელში ყოფნა და მის ჟურნალში ამოვიკითხეთ შემდეგი სიტყვები საერო სასწავლებლების ინსპექტორის პავლოვისა, რომელსაც ამა 1893 წლის 14 და 15 ოქტომბერს დაუთვალიერებია სასწავლებელი. აი, რასა სწერს ბ-ნი პავლოვი:

„საკლასო მუშაობა ჯერ კიდევ წესიერად არ იყო დაწყებული, გაკვეთილი ჰქონდათ პირველსა და მეორე განყოფილებას, დანარჩენი მოწაფენი პრაქტიკულს მუშაობაზედ იყვნენ გასულნი. დავესწარი პირველსა და მეორე განყოფილებაში რუსულის ენისა, არითმეტიკისა და ქართულის ენის გაკვეთილებს. რუსულის ენის გაკვეთილზედ კითხულობდნენ ცალკე სიტყვებს გოგებაშვილის „Русское Слово“-დგან და სთარგმნიდნენ სამშობლო ენაზედ. არითმეტიკიდგან 21 რიცხვზედ ამოცანებს აკეთებდნენ სწორედ და შეუცდომლად...

«სამეურნეო კლასი მუშაობაზედ იყო—ოვანი მიწასა სთხრიდნენ, ორნი მიწას ამზადებდნენ ყვავილების თიხის ქოთნებში გადასარგველად, ორნი ღობეს აკეთებდნენ კლასების გვერდით. მოსწავლეებმა დიდად გონიერად მომიგეს პასუხი, როდესაც ვკითხე, რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი ნიადაგის თხრას, რისაგან შესდგება ნიადაგი, როგორ უნდა შევიტყოთ თვისება ნიადაგისა და სხ.

„მოსწავლეებს იქავე ჯან-მრთელი და საკმაო საზრდო ეძლევათ მასწავლებლის ზედამხედველობით.

„ეს სასწავლებელი სწორედ ღირსია ყურადღებისა და დახმარებისა, რათა შეიძლოს და დაამთავროს უკვე დაწყებული შენობანი. ჩემს მოვალეობადა ვსთვლი მივმართო თავად-აზნაურობის წარმომადგენელთ და ვსთხოვო დახმარება აღმოუჩინონ ამ ქვეყნისათვის დიდად სასარგებლო სასწავლებელს“.

ამ ჩანაწერის პირველის ნაწილის გარჩევა და გარკვევა სპეციალისტებისთვის მიგვინდვია. ხოლო ჩვენთვის საყურადღებო და საგულისხმიერო უკანასკნელი სიტყვებია ბ-ნის პავლოვისა, რომელიც ამ შემთხვევაში მთავრობის მოხელეა, საგანგებოდ დაუთვალიერებია წინამძღვარიანთ-კარის სასწავლებელი და, რომლის აზრიც პატივსადები და ღირს შესანიშნავია. როგორც მისის სიტყვებიდგანა სჩანს, ბ-ნს პავლოვს იმდენად სასიამოვნოდ დარჩენია სასწავლებლის მდგომარეობა, რომ მისდა მინიჭებულ სამოქმედო ასპარეზს გადადის და თავისს სარევიზიო შენიშვნებს ამ თანაგრძნობით სავსე სიტყვებს დასძენს: „ჩემს მოვალეობადა ვსთვლი მივმართო თავად-აზნაურობის წარმომადგენელთ ꟿ ვსთხოვო დახმარება აღმოუჩინონ ამ ქვეყნისათვის დიდად სასარგებლო სასწავლებელსაო“. ეს სიტყვებიც საკმარისია ჩვენთვის სასწავლებლის ღირსებისა და მნიშვნელობის დასაფასებლად. სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ ამბავს და ჩვენც შევუერთდებით იმის სიტყვებს, რომ მართლაც, ეს სასწავლებელი სწორედ ღირსია ყურადღებისა ꟿ დახმარებისა, რათა შეიძლოს ꟿ დაასრულოს უკვე დაწყებული შენობანი. ამ შენობათა შორის-კი განსაკუთრებული საყურადღებოა საუცხოო მარანი, რომლის აშენებასაც წრეულს ზაფხულს მიჰყო ხელი სასწავლებლის მზრუნველმა ბ-ნმა წინამძღვარიშვილმა და რომლისათვისაც მიღებული ყოველი წვლილი, დარწმუნებულნი ვართ, ერთი ათად და ოცად მოიტანს საერო სარგებლობას.

დიოგენი

## დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი

შეუძლებელია რუმბში ღვინის სიკეთის შეტყობა და გარეგნობით—ადამიანისა.

ფრანგული ანდაზა

**

სულელს გული ენაზედ აკერია, ჭკვიანს ენა—გულზედ.

ალი

**

გულ-უბრყვილობა ღვიძლი და უმანკოებისა.

დეკურსელი

## რუსეთი

გაზეთ Рус. Вѣд. იუწყება, რომ ამ მოკლე ხანში კრება იქმნება მოსკოვის უნივერსიტეტის მმართველობისა, რომელიც განიხილავს იმ საქმეს, დათხოვნილ იქმნან თუ არა სტუდენტები, რომელთაც ფული არ შეუტანიათ ლექციების მოსასმენად. ასეთი სტუდენტები ამ ჟამად უნივერსიტეტში ასამდეა.

—

მოსკოვში გაჩენილან ახალი მწვალებელნი, რომელნიც თავიანთ კრებულს მოციქულთა საზოგადოებას უწოდებენ. ირვინგიანებსა უწოდებენ ესენი თავიანთ თავს. წირვა-ლოცვა თითქმის ისეთივე აქვთ, როგორც მართლ-მადიდებელთ, ხოლო გერმანულ ენაზედ ლოცულობენ. გარდა ამისა, ირვინგიანები ხანდახან „ახალ ენაზედ“ ლოცულობენ. ეს „ახალი ენა“ შესდგება ისეთ სიტყვებისაგან, რომლებიც თითონაც არ ესმით.

—

მოსკოვის გაზეთები იუწყებიან, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს შემდეგის სიტყვით მიჰმართა ამავე უნივერსიტეტის ინსპექტორმა:

შევიტყე რომ ამ ბოლოს დროს სტუდენტები ძლიერ ხშირათ იკრიბებიან ხოლმე ქუჩებში და ბულვარებზე, მღერიან, გამვლელ-გამომვლელთ ძლიერ აწუხებენ. პოლიციასთანაც ხშირად მოსდით ჩხუბი.

ვაუწყებ სტუდენტებს, რომ უნივერსიტეტის მთავრობა მოვალეა უნივერსიტეტს გარეშეც თვალ-ყური ადევნოს სტუდენტებს; დამნაშავე სტუდენტები დაისჯებიან უნივერსიტეტის წესდების ძალით ან სრულიად დათხოვნილ იქმნებიან უნივერსიტეტიდგან.

—

განზრახვა აქვთ საზეითალო უწყება შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩამოართვან და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ჩააბარონ.

განზრახვა აქვთ აგრეთვე საგუბერნიო ქალაქებში ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო სამმართველონი დააარსონ. სამეურნეო სამინისტროსთან დაარსების შემდეგ იმავე სამინისტროსთან დაარსდება სპეციალისტთა ბიურო სამეურნეო და სატყეო გამოკვლევათათვის.

—

1892 წლის განმავლობაში მოსკოვში მრავალჯერ გასინჯეს გასასყიდი ღვინოები და აღმოჩნდა, რომ ამ ღვინოებში ყურძნის წვენი სრულებით არა ყოფილა. ხოლო პურის სპირტი კი ძლიერ ბევრი ყოფილა გარეული ღვინოში. რადგანაც სპირტზე რუსეთში აქციზია დადებული და ღვინოზედ კი არა, ხარჯთა დეპარტამენტს მიუწერია აქციზის სამმართველოებისათვის, საჭირო ცნობანი შეაგროვეთ ამ საქმის შესახებ და დეპარტამენტს გამოუგზავნეთო. 1892 წელს მთელ მოსკოვში და მოსკოვის გუბერნიის მაზრებში 250 ათასი ვედრა ღვინო გაყიდულა. აქედგან რომ გამოირიცხოს ის ღვინო, რომელიც მოსკოვიდგან მაზრებში მიაქვთ, აღმოჩნდება, რომ მარტო მოსკოვში გაყიდულა 214 ათასი ვედრა ღვინო. იმავე წელში-კი მოსკოვში მოუტანიათ 420 ათასი ვედრა ღვინო და გაუტნიათ-კი 419 ათასი ვედრა. ამ გვარად მოსკოვში დარჩენილა მხოლოდ 1,000 ვედრა ღვინო. გაყიდულა-კი იმავე დროს შიგ მოსკოვში, როგორც ზემოდა ვსთქვით 214 ათასი ვედრა, ე. ი. 214 ჯერ მეტი, ვიდრე მოსკოვში ღვინო დარჩენილა გაუყიდავი. საიდგან გაჩნდა მერე ეს დანარჩენი 213 ათასი ვედრა? აშკარაა, ეს ღვინო თვით მოსკოვშია შეზავებულ-გაკეთებული.

—

უმართებულესმა სენატმა ამ ცოტა ხანში უნდა განმარტოს ერთი კანონი შესახებ უკანონო შვილებისა.

ამ რამდენისამე წლის წინად გამოცხადებულ იქმნა ახალი კანონი, რომლის ძალითაც ყველას, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, ნება მიეცა, თუ უშვილოა და არცარავინ უშვილნია კანონიერის წესით, იშვილოს სხვის ყმაწვილი. ხოლო ამ ახალ კანონში გამორკვეული არ იყო, შეიცვალა თუ არა წინანდელი კანონი, რომლითაც აღკრძალულია თავისი უკანონო შვილი კანონიერის წესით იშვილონ: თავად-აზნაურებმა (140 და 145 მუხლი 1 ნაწ. X წიგნი კანონთა), ვაჭრებმა (152—154 მუხ.) და საპატიო მოქალაქეებმა (შენიშვ. 154 მუხლისა).

—

სენატმა უნდა გადასწყვიტოს მეორე საგანიც:

იმ ებრაელების შვილთ, რომელნიც ჯარში ყოფილან წაყვანილნი და ვადის შემდეგ რომლისამე ქალაქის დაბალ საზოგადოებაში ჩაწერილან, შეუძლიანთ თუ არა შეიძინონ უძრავი ქონება რუსეთის იმ ადგილებში, რომლებიც დასახლებული არ არის და არც ცნობილია ებრაელების საცხოვრებელ ადგილებად.

—

თქმა უნდა, რომ შეძლებული დედმამა თავიანთ შვილებს გორის დაბალ სასწავლებლებში არ მიაბარებენ. აქ ოთხი სასწავლებელია და შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მათში მოსწავლე შეგირდების უმრავლესობას შეადგენენ ღარიბ მშობელთა შვილები. ესენი აქა სდგანან „სახლის პატრონებთანა“, რომელთაც ბინასა და გამოკვებაში აძლევენ თთვეში ხშირად არა უმეტეს ოთხის, ხუთის მანათისა. ყველა ჩვენგანი შორიდამაც მიხვდება ამ ფულით ან როგორი ბინა უნდა ჰქონდეთ ხსენებულ ყმაწვილებსა და ან რა ნაირი და რაოდენი სანოვაგე მიეცემა მათ ახალგაზდა, ყოჩაღად მომქმედ კუჭსა. პატარა, დაბალი, ნახევრად განათებული ოთახი, რომელშიაც ზამთარ-ზაფხულს განუყრელათა ტრიალებს შმორის სუნი,—შედეგი სინოტიისი და უსუფთაო, გაფუჭებული ჰაერი,—აი სადგომი, სადაც 3—4 პატარა შეგირდი სცხოვრობს ერთად. ჩვენი კურთხეული ლობიო, ამაზედ არ ნაკლებად სახელ-განთქმული მახოხი, ხშირად უხეიროდ გამომცხვარი შავი პური არის წლითი-წლამდე ერთად-ერთი ამათი საზრდო, რომელსაც შეიძლება დიდ უქმე დღეებში ან ხაში და ან ორიოდ გირვანქა ხორციც მიემატოს. რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამ გვარ ცხოვრებას, ცხადია!.. მათი ფერ-მკრთალი სახე, ხშირი ავადმყოფობა, საშინელი უსუფთაობა ტანისა და ტანთსაცმელისა სამწუხარო მჭევრმეტყველებით ჰლაღადებს მათს უნუგეშო მდგომარეობას. მაგრამ თბილსა და კარგს დღეებში ბავშვის ცხოველი ბუნება, მარად მოძრავი, შთაბეჭდილებით მოსულდგმულე, ყველა ამას თითქო ყურადღებასაც არ აქცევს, არ ემორჩილება: მხიარულის უზრუნველობით უხტიან მათ გვერდზედ ꟿ ყოჩაღად დაიარებიან სკოლაში. მაგრამ სურათი სრულიად იცვლება, როდესაც შემოდგომის სიცივე და ტალახები, ზამთრის ყინვა და თოვლ-ჭყაპი ერთად და ცალ-ცალკე ეწვევა ხოლმე ჩვენს საქაროზე გაშენებულ ქალაქსა. ამისთანა დროსათვის ხსენებულ ყმაწვილებს არც ტანისამოსი აქვთ შესაფერი და არც ფეხსაცმელი. დალურჯებულ ხელებში უჭირავთ წიგნები და გაცრეცილის სახით მიეჩქარებიან ყოველ დილა ადრიან თავთავიანთ სკოლებში. სადღაა წინანდელი მხიარულება!.. ეხლა ესენი ავდარში გარეთ დარჩენილ, დალონებულ და ფრთებ ჩამოყრილ პაწია ბელურა ჩიორებს ჰგვანან!.. უცქერი ამ მწარედ მოძაგძაგე პატარა კაცუნეებს და გიკვირს:—როგორ და რანაირად იტანს მათი ნორჩი ბუნება, მათი სუსტი, უღონო აგებულება ამ საშინელ ავდრის განვლენასა?!. მაგრამ, ვაი ამ ატანას! ვინ იცის, რავდენი ამათგანი უდროვოდ გამოესალმება წუთი სოფელსა, ვიდრე ბოლომდისინ გაივლიდეს აწინდელ სწავლის დახლაკნილ და ეკლიან გზასა!.. ვინ მოსთვლის, რავდენ ამათგანში ეხლავე აბმენ თავიაანთ საზარელ ქსელსა სხვა-და-სხვა სნეულებანი, რომელნიც ამ გზაზე ბოლოში გასულებს ნაღვლიანად გადაუქცევენ სიცოცხლის თვითეულ წამსა და სამარის კარამდე მიჰყვებიან ძლევამოსილის ბოროტის კიჟინითა!.. იკურთხოს, იდიდოს შენი უკვდავი სახელი ჟენევის ბრძენო ფილოსოფოსო!.. მხოლოდ შენ და მარტო შენ ჭეშმარიტად გიყვარდა ეს პატარა, სუსტი ხალხი!.., ჰხედავდი ამათ ტანჯვა-ვაებასა და მამობრიულის მზრუნველობით გადააფარე მათ შენი მაღალის აზრებისა, უწმინდეს გრძნობათა და შეუდარებელ, გასაოცარ მჭევრმეტყველების მადლიანი კალთა; კალთა მადლიანი, ღვთისაგან ნაკურთხი, მაგრამ, სავალალოდ ამ პატარა ხალხისა, დღევანდელ ბარბაროსთაგან ურცხვად დავიწყებული!

**

მეორე გვარის ხალხი, რომელთაც ამ ჟამად ბლომად შეხვდებით ჩვენის ქალაქის ყოველ ქუჩაში, არიან გლეხები... შეიძლება უჩემოთაც მოგეხსენებოდეთ, რომ გორის ახლომახლო მდებარე სოფლები ითვლებიან საუკეთესო ადგილებად მთელ ქართლში. ამ ადგილების ნაყოფიერი ნიადაგი, რომელიც კარგად ირწყვის უხვად მომდინარე პატარ-პატარა მდინარებითა, ყოველ წლივ იძლევა დიდსა და მრავალნაირ მოსავალსა. ხიდისთავი და ატენი, მეჯვრისხევი და დუდეთი განთქმულნი არიან თავიაანთ სანაქებო ღვინითა; ვარიანი,

იმავე დაწესებულებამ უნდა წარმოსთქვას თვისი აზრი იმის შესახებ, მომრიგებელ სასამართლოებმა მომჩივან-მოპასუხეს უფასოდ უნდა აძლიონ ქაღალდების პირი საქმის გარჩევის დროს, თუ შემდეგაც, როცა საქმე გათავებულია.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთებში დაბეჭდილია ზოგიერთი ადგილები, ამოკრეფილი იმ წიგნაკის წინასიტყვაობიდგან, რომელიც განზრახვა აქვს დაჰბეჭდოს გრაფმა პარიჟელმა შემდეგის სათაურით: „საჭიროა უფლება ასოციაციებისა“. ცხადია, რისთვისაც ჰბეჭდავს გრაფი პარიჟელი ამ წიგნაკს. იგი სცდილობს გაუქმებულ იქმნას ნაპოლეონის დროს გამოცემული კანონი წინაალმდეგ ასოციაციებისა. ამითი მეტი თავისუფლება ექმნება თვით გრაფ პარიჟელის დასსაც. ამიტომ სურს, რომ ეს საქმე, რაც შეიძლება, მალე იქმნას განხილული პარლამენტში, რადგანაც ამ საქმესთან დაკავშირებულია ეკკლესიის განცალკევება სახელმწიფოსაგან. მართალი არც ერთი რესპუბლიკის მთავრობა უარს არ იტყვის იმ კანონის გაუქმებაზედ, რომელიც ნაპოლეონის დროს იქმნა გამოცემული. მაგრამ არც ერთი რესპუბლიკა არ დასთანხმდება კორპორაციების ნება მისცეს სასულიერო წოდებას, რომელიც ამას გამოიყენებს და დიდძალ მამულებს შეიძენს. სწორედ ამ საქმეში არ სთანხმდებიან ზოგიერნი რესპუბლიკელნი და რადიკალნი. გრაფ პარიჟელსაც სწორედ ეს უნდა. წინასიტყვაობა გრაფ პარიჟელისა მიმართულია პარიჟის მუშებისადმი. გრაფი ამბობს, ძლიერ კარგად შევისწავლე მუშათა ასოციაციების მოწყობილება ინგლისში და დიდათაც მომწონსო.

—

საფრანგეთის დეპუტატი ლოკრუა ძლიერა სჩივის, ფრანგ-რუსთა კავშირი ოფიციალურად რატომ არ არის გამოცხადებულიო. ლოკრუა ამბობს, საჭიროა, მთავრობამ გვაუწყოს ყოველიფე ცნობანი ფრანგ-რუსთა კავშირის შესახებ და გადაჭრით გვითხრას, მართლა არსებობს ეს კავშირი, თუ არა.

საფრანგეთს სრული უფლება აქვს მოითხოვოს, ნამდვილი ამბავი შეატყობინონ. ერთან ხუმრობა შეუძლებელია. არც იტალია, არც ავსტრია და არც გერმანია არა ჰმალავენ თავიანთ კავშირს. კეთილ-გონიერება მოითხოვს, რომ ოცნებას არ ავყვეთ, რათა შემდეგ არ ვინანოთ, თუ მართლა დღეს მხოლოდ ოცნებამ გაგვიტაცა.

—

საფრანგეთის რადიკალთა შორის უთანხმოებაა და დას-დასად იყოფიან.

—

პარიჟელ როტშილდმა 100,000 ფრანკი გადასდო ღარიბთა-თვის.

—

მომავალი მსოფლიო გამოფენა 1900 წელს იქმნება და შენობას გამოფენისათვის მოსკოვის კრემლის სტილით ააგებენ.

—

**გერმანია.** ბერლინში ამას წინად მოხდა კონგრესი „საერო განათლების საზოგადოებისა“. ამ საზოგადოებას მარტო წერა-კითხვის გავრცელება-კი არა აქვს საგნად. საზოგადოება აარსებს ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, ჰმართავს სახალხო ლექციებს და სხვ. ამ უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში-კი ჰმართავენ კონცერტებსა და წარმოდგენებს. საზოგადოების ბიუროს მეთაურობენ ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი, როგორნიც არიან დეპუტატი რიკერტი, პროფესორი ფერსტერი, ეკონომისტი ბემერტი. საზოგადოებაში მონაწილეობას იღებენ 1,000-მდე სახელოსნო და სამოსწავლო საზოგადოებანი. საზოგადოება ჰბეჭდავს თავის გაზეთს და გამოსცა საუკეთესო კატალოგი იმ წიგნებისა, რომელნიც საჭირო არიან საერო განათლებისათვის.

კრებაზედ სიტყვა წარმოსთქვა დეპუტატმა რიკერტმა. ორატორი ამტკიცებდა, საჭიროა პირველ დასაწყისს სკოლებში მაინც სრულიად განდევნილ იყოს წოდებათა განსხვავებაო. ბერლინში მდიდარი მშობლები, ვიდრე თავის შვილებს გიმნაზიაში მისცემდნენ, ცალკე პანსიონებში ამზადებენ და არა საერო სკოლებში. ხოლო მიუნჰენსა და ჰეიდელბერგში, სადაც ასეთი მოსამზადებელი პანსიონები არ არის, საერო სკოლაში სწავლობენ პროფესორებისა, ბანკირებისა და თვით მინისტრების შვილებიც-კი. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვსო, სთქვა რიკერტმა, საკმარისია აღვნიშნო კრებაზედ წარმოთქმული სიტყვა ერთის გიმნაზიის დირექტორისა, რომელიც ამტკიცებს, რომ საერო სკოლებში სწავლა-მიღებული ყმაწვილები უფრო განვითარებულნი არიან, ვიდრე შინ ან მოსამზადებელ პანსიონებში ნასწავლნიო.

—

**ოსმალეთი.** ამბობენ, რომ ხმელთა-შუა ზღვის რუსეთის ესკადრა სტამბოლსაც მივაო.

## თეატრის მატიანე

—

ბერლინის სცენაზედ წარმოადგინეს ჰერგარტ ჰაუპტმანის ახალი პიესა „განელე“. წარმოდგენას თითქმის მთელი ბერლინი დაესწრო და პიესაც მეტად მოეწონა საზოგადოებას. შინაარსი პიესისა ძლიერ მარტივია: განელე უბედური ყმაწვილი ქალია. დედ-მამა არა ჰყავს. სცხოვრობს თავის მამინაცვალთან. მამინაცვალი ბოროტი კაცია და თანაც ლოთი. საბრალო პაწია ქალს სამათხოვროთ ჰგზავნის და მის ნაშოვნ ფულითა ლოთობს. სასტიკადაც ექცევა თავის გერს. თუ ცოტა ფული მოიტანა, სცემს და სატანჯავს. საბრალო ქალი ვეღარ იტანს ამ განსაცდელს და წყალში ვარდება თავის დასარჩობად. ტყის მცველი და სოფლის მასწავლებელი წყლიდგან ამოიყვანენ და სიკვდილს გადაარჩენენ. მასწავლებელი ყმაწვილს მიიყვანს ღარიბთა თავშესაფარში, სადაც თავი მოუყრიათ კატორგიდგან გამოქცეულ ავაზაკებს, ლოთებს და ცუდის ყოფა-ქცევის ქალებს. აქ, ამ საცოდავ ქოხში, დააწვენენ საბრალო ქალსა. ყმაწვილს ქალს თავს ადგანან ექიმი, და მასწავლებელი და მომვლელი ქალი. განელეს სიცხეს აძლევს და ჰბოდავს.

ქალს თვალწინ წარმოუდგება ჯერ სასტიკი მამინაცვალი და შიშით აკანკალებს. მაგრამ აი მოეჩვენა სათნო ḍ მოყვარული, წყნარი დედა, რომელიც ამშვიდებს და მომავალში ბედნიერებას უქადის. შემდეგ თვალწინ წარმოუდგება სხვა და სხვა აჩრდილი და მათ შორის სიკვდილიც, რომელიც ქალს სრულებით არ აშინებს. განელე ჰხედავს, რომ მშვენიერი კაბა აცვია, ბროლის ფეხსაცმელი, წევს მდიდრულად მორთულ კუბოში და დიდის ამბით ასაფლავებენ. მოდიან ანგელოზნი და ერთიც „უცხო“ ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, რომელიც ეტრფის და ეალერსება...

ფარდა ხელახლავ აიხდება. სცენა წარმოადგენს ისევ იმ საცოდავს ქოხსა. განელეს საწოლთან სდგანან ექიმი, მასწავლებელი, და მომვლელი ქალი. ექიმი განელეს მაჯას გაუსინჯავს და ამბობს საბრალო ქალი გარდაიცვალაო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ამერიკელებმა გამოიანგარიშეს, რა ჰღირს თითოეული პირუტყვი. ეხლა ერთს მეცნიერს ფარრს გამოუანგარიშებია, რა ჰღირს თითოეული ადამიანი სხვა-და-სხვა წლოვანებაში. მუშა კაცის ახლად დაბადებული შვილი, ფარრას ანგარიშით, ჰღირს 25 დოლლარი, 10 წლის ყმაწვილი ჰღირს ერთი-ორად მეტი. მუშაობას რომ შესძლებს, მაშინ ჰღირს 800 დოლარი: 22 წლისა რომ შესრულდება, მაშინ ჰღირს 1,200 დოლლარი. ამას იქით-კი თანდათან ფასი აკლდება. 50 წლისა რომ გახდება კაცი, 600 დოლლარზედ მეტი აღარა ჰღირსო. 70 წლის კაცი, სულ ბევრი, ჰღირს 5 დოლლარი. 70 წლისაზედ უფრო მოხუცი, არამც თუ აღარასფერი აღარა ჰღირს, ზარალის მეტი არა მოაქვს-რა. ამ გვარად, ფარრას აზრით, ველური ხალხი ძლიერ კარგად იქცევა, რომ 70 წლის მოხუცებსა ჰხოცავს.

**

გაზეთი „Спб. Вѣд.“-ი იუწყება: ამას წინად ომსკის მომრიგებელმა მოსამართლემ გადუწყვიტა ერთის წლით დაპატიმრება და 300 მანათი ჯარიმა ერთს მევახშეს ბიკოვს, რომელიც მოხელეთ ფულს აძლევდა სესხად და 60% იღებდა სარგებელსა. მთელი ქალაქი ხელში ჩაიგდო აღმასრულებელ ფურცლებით. ყოველ თთვის ოცს შემოივლიდა ქალაქს და ხარკს აგროვებდა იმ მოხელეთაგან, რომელთაც-კი ამ მოვახშესაგან ფული ესესხათ.

**

მოსკოვის გუბერნატორმა გამოსცა ცირკულიარი და გამოაცხადა, თუ უცხო კაცთაგან მივიღე თხოვნები შესახებ იმისა, რომ რომელსამე მოხელეს ჯამაგირი მოემატოს, ან რაიმე უკეთესი თანამდებობა მიეცესო, ამ თხოვნებს არა კითარ ყურადღებას არ მივაქცევ; პირიქით ეს თხოვნა დაუშლის კიდეც მოხელეს სამსახურში წარმატებას. ასეთავე განკარგულება გამოსცა ვისლას მხარეს რკინის გზის მმართველმა და გამოაცხადა, რკინის გზის მხოლოდ იმ მოხელეთ მიეცემათ უკეთესი ადგილი, ან მოემატებათ ჯამაგირი, რომელნიც სამსახურში მეუაითობასა და საქმის ცოდნას გამოიჩენენ. ეს ცირკულიარი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ რკინის გზის მმართველს 150 თხოვნა მისვლია უცხო კაცთაგან, და მათ შორის მრავალ ქალებისაგან, რკინის გზის სადგურის უფროსის თავისუფალი ადგილი ამა და ამ კაცს მიეციო.

**

ერთის ინჟინერის სიტყვით, ლონდონს ძლიერ ცუდი საქმე მოელის. ეს ინჟინერი ამტკიცებს, ლონდონის ქვაფენილსა და ნიადაგს შუა დიდძალი გაზი შეგროვდა და შეიძლება როდისმე ამ გაზმა იფეთქოს და მთელი ლონდონი ჰაერში აიტანოსო.

## დეპეშა

12 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ფინანსთა სამინისტრო წარუდგენს სახელმწიფო საბჭოს პროექტს იმის შესახებ, რომ ქალაქების საზოგადოებათა ბანკებს ნება ჰქონდეთ მისცენ ხოლმე სესხი იმათ, ვისაც რკინის გზისათვის ჩაუბარებიათ ხორბალი გასაგზავნად, და გირაოდ მიიღონ კვიტანციები.

**ვენა.** თავადმა ვინდიშგრეცმა წაიკითხა პარლამენტში ახალ სამინისტროს პროგრამმა. სამინისტრო წარუდგენს პარლამენტს საარჩევანო რეფორმის კანონ-პროექტს, რომლითაც კენჭი ისეთ წოდებათაც მიენიჭება, რომელთაც აქამომდე არა ჰქონდათ. პროგრამმაში მოხსენებულია ცვლილება ვალიუტისა, ხარჯებისა და სასამართლოსი. შეერთებულმა დასებმა ხანგრძლივის ხმაურობით გამოუცხადეს კმაყოფილება. ახალ-ჩეხებს უნდოდათ დაუყოვნებლივ აეტეხნათ ლაპარიკი სამინისტროს პროგრამმის შესახებ, ხოლო თავმჯდომარემ ნება არ მისცა.


## განცხადებანი

იძლევა ქირით

# სარდაფი

კუთხე მეორე. თუმანიშვილისა და ნახშირ-კრამიტის ქუჩისა, № 1.


შინდისი და უფლისციხე—თავიანთ თეთრისა და გემრიელის პურით. დანარჩენი სოფლები იძლევიან სხვა-დასხვა ნაირ მშვენიერ საზამთრო ხილსა: ვაშლსა, მსხალსა, კაკალსა... ამავე სოფლებში იზრდება მრავალი წვრილ-ფეხი საქონელი და დიდძალი შინაური ფრინველი. ერთის სიტყვით ყოველგვარ მოსავლით მდიდარია ეს კუთხე ჩვენის ქვეყნისა, მაგრამ მისნი უბედურნი ბინადარნი მცხოვრებნი-კი ლამის მიწასთან გაასწოროს უკიდურესმა სიღარიბემ. მაშ სად და ვისთან მიდის ეს ამოდენი მოსავალი მათის კურთხეულ დედულმამულისა, ეს მდიდარი ნაყოფი მათის განუწყვეტელის შრომისა და ჯაფისა?... ამ საკითხავის პასუხს მეც ადვილად მოვახერხებდი, მაგრამ, ვგონებ, უფრო კარგი იქმნება, რომ პასუხი თვით გლეხკაცისაგან გავიგონოთ.. აგერ, ჩემო ბატონო, სავსე ტომრებით დატვირთული ურემი, რომელზედაც უზის გახეხილ ძველ ფარაჯაში გახვეული გლეხი და ზანტად მიერეკება თავისზედ უფრო გალახულ ხარ-კამეჩსა. მივიდეთ მასთან და ვკითხოთ:

— საიდგან მოგაქვს, ძმობილო, ეგ პური?.

— ვარიანიდამა, შენი ჭირიმე!.

— ვისია? საითკენ მიგაქვს?.

— აქ მომაქვს, შენი ჭირიმე.. კარაპეტ წურბელიანცისა გახლავთ!.

— ვის მამულშია მოყვანილი?.

— ჩემს მამულში. ფული მმართებს და აი ეს ამოდენა პური სულ სარგებელში წამართვა იმ ულმერთომა.

— თუმანზედ რას აძლევ სარგებელსა?

— თუმანზედ სამაბაზ უზანთულს მახდევინებს!

— დაგრჩა რამე კიდევ სახლში, თუ არა?

— აი მაღალ ღმერთს გეფიცები, რომ სათესლე რა არის, სათესლეცი აღრ დამრჩა.

აგერა კიდევ მოდის ურემი, რომელზედაც ტკბილით გაჭიკნილი ვეებერთელა რუმბი ლახლახებს... აბა ახლა ამ მეურმეს გამოველაპარაკოთ:

— სადაური ხარ ძმობილო.?

— ხიდისთაველი გახლავართ.

— ვისია ეგ ტკბილი?

— გასპარა წურბელიანცისა გახლავთ.

— ვის ვენახიდამ არის წამოღებული?

— ჩემი ვენახიდამ, შენი ჭირიმე! შაკრშან მიჭირდა და ვენახი ექვს თუმნათ დაუგირავე... ეხლა ეს ამოდენა ტკბილი იმ ფულის სარგებელში მიაქვს.

— თუმანზედ რას აძლევ სარგებელსა?

— სამ აბაზსა, შენი ჭირიმე, და ისეთი პირობაცა აქვს ჩამორთმეული, რომ კოკა ტკბილი უნდა სამ მანათად აირწყოს.

— დაგრჩა რამე კიდევ სახლში?

— აღარაფერი! ორ-კოკიანი საზედაშე მინდოდა ამესო, მაგრამ იმ ურჯულომ ნება არ მომცა: შამანიც გეყოფა შენაო.

უკაცრავად კი გახლავართ, ბატონო მკითხველო თქვენთან, მაგრამ გთხოვთ აიმ ურმებთანაც მომყვეთ?

— ვისია, ბიჭო, ეს ამოდენა ხილი?

— ავეტიქა წურბელიანცისა გახლავთ.

— ერთი სოფლიდამ არის წამოღებული თუ რამდენისამე სოფლიდამ?

— არა ბატონო, სამ-ოთხ სოფელშია მოგროვებული!

— ფასი როგორი აიღეთ?

— რა ფასი, შენიჭირიმე! სულ ჩალის ფასათ წამოიღო.. სულ მშვენიერი არჩეული ხილი გახლავთ და ფუთი ორ აბაზზედ ზევით არ დასჯდომია.

— მერე. ჭკუა არ გაქვთ მაგ თავში?.. რად გადაჰყარეთ ეგრე ოხრათა?..

— ეჰ, შე დალოცვილო! ჭკუა-კი გვაქვს, მაგრამ რას იზამ, როცა გაჭირება კარს მოგადგება!.. სახელმწიფო ხარჯის კრეფის დროს ამოვიდა, ამოიტანა ფული და წინდა-წინვე დაიბევა ჩვენი ხეხილის მოსავალი.

ახლა-კი შევჩერდები.. თავს აღარ მოგაწყენთ არც კიდევ სადმე წაყვან-წამოყვანითა და არც ამისთანა ამბებზედ აშენებულ მსჯელობით...

თქვენმა პატიოსანმა გულმა და, შეგნებულმა გონებამ დაამთავროს ის რაზედაც მე, თქვენის ხათრითა და მორიდებით, ხელს ვიღებ!..

ა—ნ

გორი.
1893 წ. გიორგობ. 4.

## ტფილისის სათავად-აზნაური ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ 15 და 16 დეკემბერს ამა 1893 წლისას, დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავნი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გადასახდელების შეუტანლობისათვის, მე 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებულვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება საეროვნო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელ ვადიანთა სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისს დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანათად და აგრეთვე, ბანკის თანხმობით, ვალი მყიდველზედ იქმნება გადიტანილი; სავადო შემოსავლისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნეს შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 15—16 დეკემბერს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე-21 §-ს საფუძვლისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება 7 დეკემბერს ამავე წლისას. ბანკის წესდების მე-16 §-ის თანახმად, გრძელ ვადიანის ვალის მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, სარგებლით ვადაზედ შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისათვის ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

ქალაქის მამულების ვაჭრობა იქმნება 15 დეკემბერს, სოფლის მამულებისა 16 დეკემბერს.

### ძველი კატეგორიისა.

#### ა) ქალაქის მამულები.

ბეთანოვი სტეფანე ივანეს ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველგვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 და სიგანით 13 საჟენი, ქ. ახალციხეს. თავნი ვალი 2206 მ. 84 კ., შემოსატანი გარდასახადი 299 მ. 16 კ. და სულ 2506 მ.

ნიკოლაძე ნიკოლოზ იაკობის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიწით და ეზოთი, ზომით 235 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-7 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნავთლუღში, ვოდოვოზნი ქუჩაზე. თავნი ვალი 406 მ. 81 კ., შემოსატანი გარდასახადი 62 მ., 68 კ., და სულ 469 მ. 49 კ.,,

### ძველი კატეგორიისა

#### ბ) სოფლის მამულები

ხიმშიაშვილები: ნიკოლოზ, ნინო და მარიამ გიორგის ძე და ასულნი და ეკატერინა ბეჟანის ასული. სახნავი და საძოვარი ადგილეი და ტყე, მიწა ზომით 653 დესეტინა, 1820 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, აგარაკ ათნის-ხევში. თავნი ვალი 3880 მ. 39 კ., შემოსატანი გარდასახადი 302 მ., 3 კ., და სულ 4182 მ. 42 კ.

ჭიჭინაძე სოფია როსტომის ასული. სახნავ-სათესი, საძოვარი, სათიბი, ადგილები და ტყე, ზომით 391 დესეტინა, 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში სოფ. დიდ-შავთაში. თავნი ვალი 2586 მ. 93 კ., შემოსატენი გარდასახადი 169 მ. 38 კ., და სულ 2756 მ. 31 კ.

გურჯელიძე ანასტასია გრიგოლის ასული. სახნავ სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 104 დესეტინა 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ბოგვში. თავნი ვალი 2624 მ. 97 კ., შემოსატანი გარდასახადი 292 მ. 66 კ. და სულ 2917 მ. 63 კ.

ბასკანოვი რომანოზ ივანეს ძე, არიშინი ნიკიფორე ათანასესძე, და სხვ. სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, მიწა ზომით 379 დესეტინა 760 ოთხ-კუთხი საჟენი, თფილისის გუბერნიასა და მაზრაში, ადგილს ნამარში. თავნი ვალი 7048 მ. 47 კ., შემოსატანი გარდასახადი 76 მ. 77 კ. და სულ 7125 მ. 24 კ.

ქობულოვი: იოსებ, სოლომონ და ზაქარია ადამის ძენი. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 823 დესეტინა 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და თელავის მაზრაში. სოფ. კონდოლში. თავნი ვალი 8810 მ., შემოსატანი გარდასახადი 364 მ. 78 კ. და სულ 9175 მ. 41 კ.

თარხან-მოურავი დავით იორამის ძე. სახნავ სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 525 დესეტინა 876 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, ტფილისისა და გორის მაზრაში, სოფ.: ახალქალაქს, მუხაურსა და სათარხნოში. თავნი ვალი 6167 მ. 44 კ., შემოსატანი გარდასახადი 124 მ. 93 კ. და სულ 6292 მ. 37 კ.

ვაჩნაძე იოსებ რევაზის ძე. სახნავ-სათესი ადგილი და ტყე. მიწა ზომით 663 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში. სოფ. ბარემკარში. თავნი ვალი 2643 მ. 19 კ., შემოსატანი გარდასახადი 273 მ. 20 კ. და სულ 2916 მ. 39 კ.

ბარნაბოვისა ანასტასია სოლომონის ასული. სახნავ-სათესი ადგილები, ზომით 19 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. დიცში. თავნი ვალი 440 მ. 53 კ., შემოსატანი გარდასახადი 47 მ. 92 კ. და სულ 488 მ. 45 კ.

გედევანისშვილი მერაბ იოსების ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი ადგილები, მიწა ზომით 60 დესეტინა 110 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასი და მაზრაში, აგარაკს მუხათ-გვერდში. თავნი ვალი 528 მ. 66 კ., შემოსატანი გარდასახადი 56 მ. 15 კ. და სულ 584 მ. 81 კ.

ბაგრატიონ-მუხრანსკი ივანე კონსტანტინეს ძე. სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, ზომით 660 დესეტ., 1800 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თიანეთის მაზრაში, აგარაკ ბოთკოში. თავნი ვალი 10712 მ. 06 კ., შემოსატანი გარდასახადი 484 მ. და სულ 11196 მ. 06 კ.

აღა-რაჭიმოვი ჰაჯი იბრაგიმ-ზეინალ-ოღლი და სხვანი. სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები, ზომით 166 დესეტ., 940 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ კიროხლოში. თავნი ვალი 5356 მ. 06 კ., შემოსატანი გარდასახადი 245 მ. 50 კ. და სულ 5601 მ. 56 კ.

პოლტორაცკი ალექსანდრე ევგენიეს ძე. სახნავ სათესი, საძოვარი, საბოსტნე იდგილები, ბაღი და შენობები, მიწა, ზომით 148 დესეტინა, 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 6394 მ. 86 კ., შემოსატანი გარდასახადი 346 მ. 35 კ. და სულ 6741 მ. 21 კ.

ჯომარჯიძე თომა იაკობის ძე. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, სამზარეულოთი და სხვა-და-სხვა თავლებითა, ეზოთი და წყაროს წყლით, მიწა ზომით 1 დესეტინამდე, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 1827 მ. 14 კ., შემოსატანი გარდასახადი 83 მ. 88 კ. და სულ 1911 მ. 02 კ.

წერეთელი ბაგრატ მიხეილის ძე. მინდვრები და ტყე, მიწა ზომით 1020 დესეტინა, 1920 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ზემოხოდაშენში. თავნი ვალი 8072 მ. 08 კ., შემოსატანი გარდასახადი 391 მ. 36 კ. და სულ 8463 მ. 44 კ.

გაბაშვილი იოსებ დავითის ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი და სასახლკარე ადგილები, ტყე და შენობები, მიწა, ზომით 148 დესეტინა, 1860 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში. სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 5045 მ. 04 კ., შემოსატანი გარდასახადი 410 მ. 70 კ. და სულ 5455 მ. 74 კ.

ავსარქისოვი ფარსადან იაკულის ძე, იარალოვი სერგო იაკულის ძე და პირო მელქისედეკ ოსიფის ძე. სახნავ სსთესი, სათიბი, საძოვარა და სასახლკარე ადგილები, ზომით 623 დესეტ., 888 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. სკრაში. თავნი ვალი 11971 მ. 74 კ., შემოსატანი გარდასახადი 508 მ. 51 კ. და სულ 12480 მ. 25 კ.

მეჩითოვები: იაგორ, დარჩო და ნინო დარჩოს ძენი და ასული და სხვანი. სახნავ-სათესი და საბალახო ადგილები, ზომით 151 დესეტინა, 657 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეთში. თავნი ვალი 3223 მ. 16 კ., შემოსატანი გარდასახადი 163 მ. 84 კ. და სულ 3387 მ.

გაბაშვილი იოსებ დავითის ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი, სასახლკარე ადგილები და ტყე, ზომით 178 დესეტინა, 2011 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა დი მაზრაში, სოფ. საგაბაშვილო-თხინვალში. თავნი ვალი 2762 მ. 71 კ., შემოსატანი გარდასახადი 250 მ. 65 კ. და სულ 3013 მ. 36 კ.

ციციშვილი დავით ივანეს ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი, სასახლკარე ადგილები და ტყე, ზომით 87 დესეტინა, 960 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ქვემო-ნიჩბისში. თავნი ვალი 4888 მ. 35 კ., შემოსატანი გარდასახადი 187 მ. 76 კ. და სულ 5076 მ. 11 კ.

ქარუმიძე ივანე პაატას ძე. სახნავ-სათესი, სასახლკარე და სავენახე ადგილები, ზომით 12 დესეტინა, 1440 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. თორთიზაში. თავნი ვალი 271 მ. 53 კ., შემოსატანი გარდასახადი 39 მ. 85 კ. და სულ 311 მ. 18 კ.

ავალიშვილისა ოლღა ედუარდის ასული. სახნავ-სათესი ადგილები, ზომით 12 დესეტინა, 2320 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. საშაბუროში. თავნი ვალი 742 მ. 26 კ., შემოსატანი გარდასახადი 89 მ. 39 კ. და სულ 831 მ. 65 კ.

გედევნიშვილი, კონსტანტინე დავითის ძე. სახნავ სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 89 დესეტინა. 2046 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, ტფილისისა, დუშეთისა და გორის მაზრებში, აგარაკს მუხათ-გვერდსა, საგუდესა და სასხორში. თავნი ვალი 742 მ. 30 კ., შემოსატანი გარდასახადი 62 მ. 88 კ. და სულ 805 მ. 18 კ.

შალიკაშვილი ალექსანდრე რაჟდენის ძე. სახნავ-სათესი, სათიბი ადგილები, ტყე და შენობები, მიწა ზომით 394 დესეტინა, 620 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. სკრაში. თავნი ვალი 4695 მ. 19 კ., შემოსატანი გარდასახადი 200 მ. 48 კ. და სულ 4895 მ. 67 კ.

#### ქალაქის მამულები

მელითაური მიხეილ გიორგის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და შენობებით, მიწა ზომით $81^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი, 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ოლღას ქუჩაზე. თავნი ვალი 2985 მ. 59 კ., შემოსატანი გარდასახადი 119 მ. 78 კ. და სულ 3105 მ. 37 კ.

ჯორჯაძე დავით ვახტანგის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ყოველგვარ მოწყობილობით, ზომით 1443 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. თელავს. თავნი ვალი 5667 მ. 10 კ., შემოსატანი გარდასახადი 386 მ. 82 კ. და სულ 6053 მ. 92 კ.

ერისთავისა ნინო ალექსანდრეს ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ორ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით და შენობებით, მიწა ზომით 144 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-9 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნიკოლოზის ქუჩაზე. თავნი ვალი 4359 მ. 35 კ., შემოსატანი გარდასახადი 277 მ. 30 კ. და სულ 4636 მ. 65 კ.

მაშადი-აბუზარ-მოლლა-ფეიზულა-ოღლი. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და სამ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-6 ნაწილში 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისსა სეიდაბათში, ვარანცოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 6539 მ. შემოსატანი გარდასახადი 412 მ. 48 კ. და სულ 6951 მ. 48 კ.

კადურინი: ვასილი თევდორეს ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი თავის მოწყობილობით, მიწა ზომით 200 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-9 ნაწილში მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ვორონცოვის ნაბერეჟნაზე. თავნი ვალი 3051 მ. 54 კ. შემოსატანი გარდასახადი 219 მ. 70 კ. და სულ 3271 მ. 24 კ.

სოლომონოვი: ვაღარშაკ არტემას ძე. 6 ერთ სართულიანი კვითკირის სახლი სარდაფით და 9 ერთ-სართულიანი ქვითკირის ფლიგელი, ყოველგვარ მოწყობილობით, მიწა ზომით: სიგრძით 66 და სიგანით $16^1/_2$ საჟ. ქ. ალექსანდროპოლში. თავნი ვალი 13211 მ. 26 კ. შემოსატანი გარდასახადი 825 მ. 26 კ. და სულ 14036 მ. 52 კ.

შაბუროვი: გრიგოლ და სოლომონ ივანეს ძენი. 1-ლი, ორსართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, სამ-სართულიანი ფლიგელი, ფურნე, თავლა და ბაღი, მიწა ზომით 714 ოთხ კუთხი საჟენი; 2-რე, ვენახი მარნით, მიწა ზომით: სიგძით 63 საჟენი, სიგანით, სამხრეთით 10 საჟ., ჩრდილოეთით 9 საჟ. ქალაქ სიღნაღში. თავნი ვალი 3026 მ. 40 კ. შემოსატანი გარდასახადი 217 მ. 10 კ. და სულ 3243 მ. 50 კ.

ბლეელოვი: იოსებ დავითის ძე. სამი თითო-სართულიანი სახლი, ფლიგელითა და ყოველივე მოწყობილობით, მიწა ზომით 91 ოთხ-კუთხი საჟენი ქ. გორში. თავნი ვალი 2269 მ. 81 კ. შემოსატანი გარდასახადი 163 მ. 56 კ. და სულ 2433 მ. 37 კ.

დიასამიძე: ნიკოლოზ დავითის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ანუ დუქანი, მიწა ზომით $66^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 3513 მ. 27 კ. შემოსატანი გარდასახადი 416 მ. 49 კ. და სულ 3929 მ. 76 კ.

სინოიანცი: კარაპეტ ნიკიტას ძე. ორი თითო-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველივე მოწყობილობით და სარაით, მიწა ზომით: სიგძით 27 საჟ. და 2 ალაბი, სიგანით 10 საჟ. ქ. ალექსანდროპოლში. თავნი ვალი 1619 მ. 04 კ. შემოსატანი გარდასახადი 87 მ. 6 კ. და სულ 1706 მ. 10 კ.

ანდრონიკოვი; თებრონია გიორგის ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, მიწა ზომით: სიგძიუ 25-ი, სიგანით 15 ოთხ-კუთხი იაჟ. ქ. სიღნაღში. თავნი ვალი 1541 მ. 96 კ. შემოსატანი გარდასახადი 117 მ. 17 კ. და სულ 1659 მ. 13 კ.

ციციანოვი: თომა კონსტანტინეს ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და მოწყობილობით, მიწა ზომით 112 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 2775 მ. 47 კ. შემოსატანი გარდასახადი 169 მ. 18 კ. და სულ 3944 მ. 65 კ.

თავდგირიძე: ბესარიონ გაბრიელის ძე. ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ფურნითა და ბაღით, მიწა ზომით: სიგძით 51, სიგანით 48 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 3139 მ. 39 კ. შემოსატანი გარდასახადი 187 მ. 32 კ. და სულ 3326 მ. 71 კ.

ხითაროვი: ბეგლიარ გიორგის ძე. ორ-ს-რთულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, საყინულეთი, თავლითა და ბაღითა, მიწა ზომით 12366 ოთხ-კუთხი საჟ. და ორი არშ., შაგარის უბანში, ქ. ერევანს, სარლიპ-კიუჩას ქუჩაზე. თავნი ვალი 3832 მ. 66 კ. შემოსატანი გარდასახადი 223 მ. 24 კ. და სულ 4055 მ. 90 კ.

ნიკოლაძე: ეკატერინე იაკობის ასული. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, მიწა ზომით 370 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ქუთაისში. ღოსპიტალის ქუჩაზე. თავნი ვალი 3408 მ. 83 კ. შემოსატანი გარდასახადი 266 მ. 93 კ. და სულ 3675 მ. 76 კ.

წერეთელი: მიხეილ ემილიანის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და ერთ-სართულიანი ფლიგელით, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟ. მე 7 ნაწილში მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ლუარსაბის ქუჩაზე. თავნი ვალი 486 მ. 98 კ. შემოსატანი გარდასახადი 57 მ. 68 კ. და სულ 544 მ. 66 კ.